

## ღაიქსოვრათ:

- ▶ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით დაინტერესების შემთხვევაში, პირი განცხადებას წარუდგენს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ადგილზე (მის.: თბილისის იუსტიციის სახლი; სანაპიროს ქ. 2) ან ელექტრონულ ფოსტაზე: [info@nasp.gov.ge](mailto:info@nasp.gov.ge)
- ▶ წარსადგენი განცხადების შაბლონები ხელმისაწვდომია თავად სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე ([nasp.gov.ge](http://nasp.gov.ge)), ასევე, მომსახურების ცენტრებში. სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზია 1420;
- ▶ ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ ქვეყნდება ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge), ან/და [www.privatization.ge](http://www.privatization.ge), რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად მიიჩნევა. აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია, ასევე გამოქვეყნდეს ვებგვერდზე [www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge)
- ▶ აუქციონის გამოცხადება და ვაჭრობა ხორციელდება ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ვებგვერდზე დარეგისტრირება. ფიზიკური პირი რეგისტრირდება სახელით, გვარით და პირადობის მოწმობის ნომრით, იურიდიული პირი რეგისტრირდება სახელწოდებით და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრის მიხედვით, საიდენტიფიკაციო ნომრით.



ბროშურა მომზადდა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ბროშურის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი სოციალური სამართლიანობის ცენტრი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, **სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი**, შესაძლებელია, საკუთრებაში/მფლობელობაში გადაეცეს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

- ▶ **საკუთრებაში გადაცემა (პრივატიზება) გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობას შეუზღუდავი ვადით.**
- ▶ **მფლობელობაში გადაცემა გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესაძლებლობას დროებით, წინასწარ განსაზღვრული ვადით.**

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი დაინტერესდებიან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, მათ აქვთ მიწის საკუთრებაში ან მფლობელობაში მიღების რამდენიმე შესაძლებლობა:

**აქციონის უპრობლემო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუხეხავი სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაცია**

საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, შეუძლიათ აუქციონის ფორმით მოითხოვონ მიწის ნაკვეთის პრივატიზება (საკუთრებაში გადაცემა).

პრივატიზების მოთხოვნის შემთხვევაში მათ უნდა:

- ▶ შეარჩიონ იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთი (ნაკვეთები);
- ▶ დაამზადონ მისი დეტალური საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი (ნახაზები);
- ▶ თუ ნაკვეთის ფართობი 3 ჰექტარზე მეტია, ის უნდა დაიყოს ოპტიმალური ზომის (არანაკლებ 3 ჰექტარი მოცულობის) ნაკვეთებად;

- ▶ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წარუდგინონ განცხადება მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) პრივატიზებით დაინტერესების შესახებ;
- ▶ საპრივატიზებო თანხას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ადგენს საქართველოს მთავრობა.

აუქციონში გამარჯვებული, აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იხდის მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურს და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს მისი გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუხეხავი სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაცია**

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები საქართველოს მოქალაქეს საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს პირდაპირი მიყიდვის წესით.

პირდაპირი მიყიდვით დაინტერესების შემთხვევაში, მოქალაქის მიერ განაცხადში უნდა **აღინეროს განსახორციელებელი პროექტი, ასევე, განხილვის პროცესში, სააგენტომ, შესაძლოა, მოითხოვოს დეტალური ბიზნესგეგმის წარდგენა.**

მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის, მისი საფასურის ოდენობის და გადახდის წესის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს.

**სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იჯარით გახეხვა**

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებაში არსებული მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემას.

- ▶ მიწის ნაკვეთის იჯარით მიღების უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს;
- ▶ იჯარის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 49 წელი;
- ▶ იჯარის მოთხოვნით დაინტერესებულმა პირმა განაცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;
- ▶ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის მიწა, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას და შესაძლებელია გაიცეს იჯარით, გაიცემა აუქციონის წესით;
- ▶ აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი საფასური განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ხელშეწყობის პროგრამა**

მიწისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტოს უფლება აქვს, შესაბამის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, იჯარის უფლებით, აუქციონის ფორმით, გასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები.

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც შერჩეული აქვს იჯარის უფლებით გასაცემი საძოვარი და, ამავე დროს, ფლობს საძოვრის ასათვისებლად საკმარისი რაოდენობის მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსან პირუტყვს.

პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღების დანყების, დასრულების თარიღი და განაცხადის ფორმა პერიოდულად ქვეყნდება **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა ([www.mepa.gov.ge](http://www.mepa.gov.ge)) და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდებზე ([www.land.gov.ge](http://www.land.gov.ge)).**

განცხადებების მიღების ვადა შეადგენს არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.